სამოქალაქო საზოგადოება

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №6, 2023 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – **„მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“** ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროექტის გუნდი.

საპრეზიდენტო არჩევნების ისტორია

წყარო: საქართველოს არჩევნების ისტორია 1991 - 2018 წლები – https://history.cec.gov.ge

არჩევნები დემოკრატიული ქვეყნებისათვის მძლავრი ინსტრუმენტია იმისათვის, რომ ჰყავდეს ლეგიტიმური, ხალხის რჩეული მმართველი ძალა, ანგარიშვალდებული ხელისუფლება, ხდებოდეს ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა, ადამიანის უფლებების პრიორიტეტი და კიდევ უამრავი რამ...

როგორ ვირჩევდით იმ ადამიანებს, ვისაც უკეთესი საქართველო უნდა შეექმნა ჩვენთან ერთად, როგორ ვაცილებდით? იყო და არის არჩევნების შედეგები ხალხის ნების იდენტური?

1991 წელი

კანდიდატებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:



არჩევნების შედეგებისადმი ნდობის ხარისხი, ფონი

პირველმა, საყოველთაო კენჭისყრით არჩეულმა საქართველოს მრავალპარტიულმა უზენაესმა საბჭომ 1991 წლის მარტში ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია, თუმცა, დაანონსდა, რომ რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართებოდა.

პირველი პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანია, ძირითადად, თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში წარიმართა, თუმცა იყო ამომრჩეველზე ზემოქმედების მცდელობა.

ამომრჩეველთა აქტივობამ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, 83%-ს მიაღწია.

პირველი არჩევნების შედეგები მოგვიანებით შეფასდა როგორც ობიექტური და სანდო.

უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისა და ამ გზით დამოუკიდებლობის მიღწევის შანსს თავიდანვე არ აღიარებდა ქართული ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა ლიდერები, რომლებმაც ეროვნული კონგრესი აირჩიეს. მალე დაპირისპირებას მოჰყვა სამოქალაქო ომი.

1991-92 წლების სამოქალაქო ომის შედეგად, არჩევიდან არასრულ ერთ წელიწადში გამსახურდია გააძევეს ქვეყნიდან, ხელისუფლება აიღო სამხედრო საბჭომ, შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება და დაითხოვა უზენაესი საბჭო.

1992 წელი

შევარდნაძე იყო უკონკურენტო, ერთადერთი, დამოუკიდებელი კანდიდატი პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე. ეს იყო საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შემადგენელი ნაწილი. ამომრჩეველთა აქტივობამ 74,2% შეადგინა.

ეუთოს არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ დაასკვნა, რომ „საარჩევნო კამპანიის დროს ძირითადად პატივს სცემდნენ ფუნდამენტურ თავისუფლებებს და კანდიდატებს შეეძლოთ თავიანთი მოსაზრებების გამოხატვა, თუმცა, აუცილებელია შემდგომი პროგრესი.

შევარდნაძე სამოქალაქო ომით დაძაბუნებულ ქვეყანაში არჩევნების ჩატარებას დემოკრატიისა და თავისუფლების გადარჩენის ერთადერთ გზად მიიჩნევდა.

1995 წელი

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, მეტწილად, მშვიდ ვითარებაში წარიმართა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობამ 68,86% შეადგინა.

ოპოზიციონერი კანდიდატების შეფასებით, მთელი სახელისუფლებო რესურსი ედუარდ შევარდნაძის კამპანიას ხმარდებოდა. თვალშისაცემი იყო სამთავრობო კანდიდატის სასარგებლოდ კენჭისყრის შედეგების გაყალბების მცდელობაც.

ამ არჩევნებს უკანონოდ მიიჩნევდა დევნილი პრეზიდენტის მხარადმჭერი ოპოზიციური პარტიები და ორგანიზაციები, დევნილი უზენაესი საბჭო.

არჩევნების შედეგებისადმი ნდობის ხარისხი, ფონი



2000 წელი

კანდიდატებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:



არჩევნების შედეგებისადმი ნდობის ხარისხი, ფონი

საპრეზიდენტო არჩევნებისას, რომელიც, მეტწილად, მშვიდ ვითარებაში ჩატარდა, არაერთი დარღვევა დაფიქსირდა. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები შემდგომში მომზადებულ რეკომენდაციებში საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო პროცედურების დახვეწისა და მკაფიო საკანონმდებლო რეგლამენტირებისაკენ მოუწოდებდნენ. ადგილობრივი დამკვირვებლები სისტემური რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაზე მიუთითებდნენ.

ოპოზიციონერი კანდიდატები ხელისუფლებას არჩევნების ფართომასშტაბიან გაყალბებაში ადანაშაულებდნენ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობამ 76% შეადგინა.

***

2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბების წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციებისა და ოპოზიციის ლიდერების პარლამენტში შეჭრის შემდეგ, პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თანამდებობიდან გადადგა, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას კი მოქმედი პარლამენტის თავმჯდომარე და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ნინო ბურჯანაძე შეუდგა.

მან საპრეზიდენტო არჩევნები 2004 წლის 5 იანვრისათვის დანიშნა, ხოლო საპარლამენტო არჩევნები რამდენიმე თვით გადაიდო

საპრეზიდენტო არჩევნების ისტორია

2004 წელი

კანდიდატებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:



არჩევნების შედეგებისადმი ნდობის ხარისხი, ფონი

2003 წლის 23 ნოემბრის რევოლუციამ მმართველი პოლიტიკური ძალა – მოქალაქეთა კავშირი – ხელისუფლებას ჩამოაცილა. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო ბურჯანაძემ, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები მალევე დანიშნა.

ეგზიტპოლების მიხედვით სააკაშვილი აბსოლუტური გამარჯვებისკენ მიემართებოდა. ეს დადასტურდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი და შემდგომ არჩევნების შედეგებითაც.

მოქალაქეთა აქტივობამ საპრეზიდენტო არჩევნებში 88%-ს მიაღწია.

2008 წელი



არჩევნების შედეგებისადმი ნდობის ხარისხი, ფონი

2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ, საქართველოში იყო პოლიტიკური კრიზისი, პოლარიზებული პოლიტიკური გარემო. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ხელისუფლებამ დამოუკიდებელი ტელევიზიები ძალისმიერი მეთოდებით დახურა.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თანამდებობიდან გადადგა, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, მან ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა. სააკაშვილი ხელახლა აირჩიეს მეორე და ბოლო საპრეზიდენტო ვადით, მას კონსტიტუციით აეკრძალა კენჭისყრა ზედიზედ მესამე ვადით.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 56,2%-მა.

ოპოზიცია ერთიანი არ იყო, თუმცა ნაწილმა, რომელიც 2007 წლის ნოემბრის ანტისამთავრობო აქციების ორგანიზებაში იყო ჩართული, საერთო კანდიდატი მაინც შეარჩია. დანარჩენმა ოპოზიციურმა პარტიებმა საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატებად საკუთარი ლიდერები დაასახელეს.

ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები აღნიშნავდნენ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსიც და ბიუჯეტიც ყველაზე ინტენსიურად სწორედ სამთავრობო კანდიდატს ხმარდებოდა, ხშირი იყო ოპოზიციის კანდიდატთა დაშინების შემთხვევები.

საბოლოო ჯამში, წინასაარჩევნო პროცესები მაინც დადებითად ფასდებოდა და, წინა არჩევნებთან შედარებით, აშკარა პროგრესიც აღინიშნებოდა.

ისინი მიესალმნენ არჩევნებს, როგორც “პირველ ჭეშმარიტად კონკურენტულ საპრეზიდენტო არჩევნებს” საქართველოს ისტორიაში. (ეუთოს) არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ანგარიშით არჩევნები შეესაბამებოდა ეუთოსა და ევროპის საბჭოს უმეტეს ვალდებულებებსა და სტანდარტებს. ამავდროულად, მისიამ „გამოავლინა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას“.

ოპოზიციამ არჩევნების საბოლოო შედეგები გააპროტესტა, საქართველოს პროკურატურაში სარჩელი შეიტანა და განაცხადა, რომ აქციებს იწყებდნენ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საჩივრების განხილვის საფუძველზე, შემაჯამებელ ოქმში მცირედი კორექტივები შეიტანა.

2013 წელი



არჩევნების შედეგებისადმი ნდობის ხარისხი, ფონი

სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიათა მხარდამჭერები ერთმანეთს რამდენჯერმე ფიზიკურადაც კი დაუპირისპირდნენ, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ 2013 წლის 27 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებმა, დიდწილად, მშვიდ და დემოკრატიულ ვითარებაში ჩაიარა. სადამკვირვებლო მისიათა წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ კენჭისყრა გაცილებით ჯანსაღ გარემოში ჩატარდა და საარჩევნო პროცესი, უწინდელთან შედარებით, ნაკლები პროცედურული დარღვევებით წარიმართა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობამ 46,6% შეადგინა.

პ.ს. 2013 წელს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისთანავე ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტში 2010 წლიდან 2013 წლამდე მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების სერია. ცვლილებები ითვალისწინებდა პრეზიდენტის უფლებამოსილების მნიშვნელოვან შემცირებას პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ.

კანდიდატებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:



2018 წელი

კანდიდატებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:



არჩევნების შედეგებისადმი ნდობის ხარისხი, ფონი

დამკვირვებლების შეფასებით, მეორე ტურის მოლოდინში გამძაფრდა პოლარიზაცია, ბიზნესსა და მედიაზე ზეწოლა, იყო შერჩევითი სამართალი, ოპოზიციური ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ გაშვებული ფარული ჩანაწერების სერია... ერთი კანდიდატი არასათანადო უპირატესობით სარგებლობდა. პრობლემური ტენდენციები – ამომრჩეველთა შესაძლო მოსყიდვა, კენჭისყრის ფარულობის დარღვევა და ამომრჩევლის მიუღებელი ხერხებით აღრიცხვა.

მმართველი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატმა, სალომე ზურაბიშვილმა ხმების 59.52% მიიღო, ხოლო მისმა კონკურენტმა, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ ხმების 40.48% მოაგროვა.

ელექტორატის აქტივობამ 46,74% შეადგინა.

ნდობა წლებს მიაქვს...

1991 წლიდან დღემდე, საქართველოში ექვსჯერ ავირჩიეთ სამი პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ფიგურა იყო – ერთი ვადით ზვიად გამსახურდია, 3 ვადით ედუარდ შევარდნაძე, 2 ვადით – მიხეილ სააკაშვილი. ქვეყნის სათავეში, ორი მათგანი მშვიდობიანი რევოლუციით, ერთი სამოქალაქო ომით მოვიდა. ზ. გამსახურდია სამშობლოსაგან დევნილობაში, საეჭვო ვითარებაში დაიღუპა, ე. შევარდნაძემ მესამე ვადა ვერ დაასრულა – ვარდების რევოლუცია წამოეწია, სიცოცხლის ბოლო წლები სამშობლოში გაატარა.

მ. სააკაშვილი, ორჯერ რიგგარეშე არჩევნებში გამარჯვებისა და საპრეზიდენტო ბოლო ვადის გასვლის შემდეგ, ახალმა მმართველმა ძალამ დააპატიმრა.

დანარჩენი ორი არჩევნებით არჩეულ პრეზიდენტებს, შეკვეცილი უფლებები ერგოთ, რადგან 2013 წლიდან ქვეყნის პირველი პირი პრემიერ მინისტრია.

გ. მარგველაშვილი და ს. ზურაბიშვილი თითოჯერ არიან არჩეულები. მათ ახასიათებთ მცირე უთანხმოება მმართველ გუნდთან და საზოგადოებასთან.

რა ემართება მოსახლეობის ნდობას ახალი პოლიტიკური ძალისადმი?

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით აშკარაა, მომდევნო ვადაში მოსახლეობის ნდობის პროცენტი თანდათან კლებულობს, ხოლო არჩევნების გაყალბებაზე საუბარი მატულობს...

პ.ს. 2024 წლიდან პრეზიდენტი აღარ აირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით. მას საარჩევნო კოლეგია აირჩევს 300 ხმოსანის შემადგენლობით, რომელთა შორის არიან დეპუტატები, მთავრობების წარმომადგენლები.

მოქალაქეთა აქტივობა საპრეზიდენტო არჩევნებში, 1991–2018 წლები



ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი „პროგრესის სახლი“

ჩანართი მომზადდა პროექტ „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy) NED-ის მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს (National Endowment for Democracy) NED -ის პოზიციას.

NED NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD